დეკემბერი
1930 წ.
№ 60

საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
DECEMBRE
1930—№ 60

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.



ნოე რამიშვილი

(1881—1930)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილი

ვლასა მგელაძე, ტიპი ქართველი მუშისა, თავისებური განცდილის გამომჟღავნებაში, გვეუბნება: ეს რა მოგვივიდა? ქართველები სიგლახეშიც გადავებით წარსულს! წარსულს, განვმარტავთ ჩვენ, როცა საგმირო საქმეთა გვერდით ბევრ მუხანათურსაც ჰქონდა ადგილი,—და ამას თითქო ადასტურებს ნოე რამიშვილის ლაჩრულათ, ქურდულათ მოკვლა.

დიახ, ქართველმა ხელი აღიღო ქართველზე, იშვიათ მებრძოლზე, თავდადებულ პატრიოტზე, მტრის თვალში ყველაზე საშიშარ მოპირდაპირეზე, მის მიერ ნიშანში ამოღებულზე. განა მტერმა არ იგემა ჩვენი სახელოვან შინაგან საქმეთა მინისტრის ხელი? რამდენჯერ ჩაუფუშავს მას მისი ჯოჯოხეთური გეგმები? რა დღე დაუყენებია, რა დღეს უქადდა მომავალში!

მტერმა ქართველებში ეძია და მონახა მკვლელი. უნდოდა ამით მოეჩვენებია ქვეყნიერებისათვის—და პარიზი ხომ მარჯვე ადგილია ამისათვის—ჩვენი დაძაბუნება, გაუტანლობა, ციხის შიგნიდან გატეხვა.

და განა მიაღწია მან ამ მზაკვრულ მიზანს? არა, ცხადია. ევროპის მთელი პრესა, გარდა კომუნისტურისა, ერთსულოვნათ, სპონტანიურათ აღიარებდა, რომ პარიზის მკვლელობაში გეპეუს ხელი ერია, ის იყო მომწყობი, და ჭანუყვაძე მხოლოდ საზიზღარი ამსრულებელი მისი ბრძანებისა.

ქართველ ერს არა ერთი და ორი ჭანუყვაძე გაუჩნდა, ისინი იმ თავითვე ასრულებენ ვერაგ მტრის ველურ ბრძანებებს, მრავალი მამულიშვილი გამოასალმეს წუთისოფელს, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ამით ერი დაძაბუნდა, გასტყდა? პირიქით! ის გამრთელდა, გაკაჟდა, იქცა უძლევი, შეუპოვარი.

დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ეს ცხოვრების კანონია. მტერმა იცის და მოყვარესაც ესალმუნება, რომ თვითეული მსხვერპლი, დიდია ის თუ პატარა, სამშობლოს საკურთხეველზე მიდის, მას ეწირება. არ არის სხვა საკურთხეველი, სხვა სალოცავი ქართველ ერისთვის, თვითეულ მის ერთგულ შვილისთვის!

და ნოე რამიშვილი სწორეთ ამ დიად ეროვნულ აღტყინების გამომჟღავნებაა, განსახიერება. დაუძახეთ მას რაც გნებავთ: სოციალისტი, რევოლუციონერი, პარტიის ბურჯი... ის იყო, პირველ ყოვლისა, ქართველი, სულით და გულით, აზრითა და ვნებით, მთელის თავის ხილული თუ უხილავი ნიშნებით. დიახ, მას ჰქონდა იდეალი, შორეული, სოციალისტური, მაგრამ ის, რისთვის იბრძოდა, რისთვის მოკვდა, იყო მახლობელი, ხვალინდელი იდეალი: სამშობლოს განთავისუფლება, ქართველ ერის ხელმწიფობა, უზენაესობა.

ქართველმა თეიმურაზმა სძლია სოციალდემოკრატი პეტრე!

ნოე რამიშვილს თავი ისე ვერ წარმოედგინა, თუ არა მატარებელი სახელმწიფო ხელისუფლებისა, უყვარდა იგი ვითა პირველ შეყვარებულს, მაგრამ ჯერ ხომ საჭირო იყო თვით ქვეყნის განთავისუფლება.

და ამ მიზნის მიღწევისათვის ნოე რამიშვილი მუდამ პირველ რიგში იდგა, ბრძოლის რიგში, ვერ ითმენდა სხვის გასწრებას... მუდმივ მოძრავს, დაუზარებელს, გამრჯეს, მომქმედს—ნოე რამიშვილს ან კი ვინ გაუსწრებდა წინ! მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე, ჩემი და შენი საქმე, ყველას თანაბარის ხალისით აკეთებდა, დღისით თუ ღამით, სახლში თუ გზაში.

ნოე რამიშვილს ჰქონდა თავისი ინტიმური ცხოვრებაც, ოჯახი, ნამდვილი ქართული ოჯახი, და, მიუხედავათ სიღარიბისა, ის ბედნიერი მამა იყო.

ნოე რამიშვილი აწ უკვე ისტორიული პიროვნებაა. მის სახელს ვერვინ დააშორებს საქართველოს ბედს და უბედობას, მის აღმაფრენას, დაშვებას, ისევ აღმაფრენას და ამისთვის ბრძოლას.

ჩვენ ამ ბრძოლის მიწურულში ვდგევართ, საცაა დაგვირგვინდება.იგი, და ნოე რამიშვილის მოწამებრივი სახე შიდ ჩაეწნება ამ გვირგვინს.

ჩვენ ვიხილეთ ეს სახე კუბოში, არ დაგვავიწყდება. ფერმიხდილი, ოდნავ მომღიმარი, გაკვირვებული, თითქო გვეკითხება, რატომ? ვინ, ვინ გამიგმირა გული?!

შენ არ გაიკვირვებ. ბევრათ უარესის მნახველო ქართველო ერო! შენი სასოდან გამოვიდა ნოე რამიშვილი, შენთვის დალია სული. მაგრამ შენ ხომ უშრეტი წყაროა ხარ, რამდენი გმირი გიშვია საუკუნეთა ქარტეხილში, რამდენს შობავ კიდევ!

ცრემლებს თვალში იგუბებ შენ, არ გინდა აჩვენო მტერს, ამის დრო არ არის. მაგრამ ჩქარა დადგება ეს დროც, უელ გადაგდებული, თავისუფალი, მკერდზედ მიიკრავ უცხოეთში დაღუპულ შენს სახელოვან შვილებს, და მაშინ, მხოლოდ მაშინ გაუხსნი ღარს შენს ცრემლებს, გლოვის და სიხარულის ცრემლებს.

საქართველოს ეროვნულ მთავრობას გამოაკლდა მისი უაქტივესი წევრი. თავმჯდომარე ნოე ჟორდანია აცხადებს, რომ მას მოსჭრეს მარჯვენა ხელი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მოიკრებს თავის ძალღონეს და გაუძღვება კვლავინდებურათ მხნე და შეუდრეკელი ერთხელ დაწყებულ წმინდა საქმეს. ქართველი ერი მოელის მისგან, ამ ფრიად საპასუხისმგებლო წუთში, ქართულ მთლიან ფრონტის მძლავრათ გაშლას და მტკიცე ხელით მესვეურობას.

ნოე რამიშვილის უნუგეშოთ დატოვებულ ოჯახის, მის ქვრივ-ობლების მიმართ ჩვენ დაგვრჩენია გადავცეთ სამშობლოს მარო რამიშვილის აღგზნებული სიტყვები, თავის დაუვიწყარ ქმარს საფლავში რომ ჩასძახა: ჩემო ნოე! გაძლევ ფიცს. ისე აღვზრდი ჩვენს შვილებს, რომ ღირსი გახდენ შენი სახელის და შური იძიონ შენი მტერზე—საქართველოს მტერზე!

რა გზა მოხდა?

შაბათ (6 დეკემბერს) საღამოს სახლში ნოეს წერილი დამხვდა, რომელშიც, პარტიულ კრების გამო, კვირას 14 საათზე და 15 წუთზე პორტ დ'ორლეანზე შეხვედრას მთხოვდა. «იქ შევხვდეთ ერთმანეთს და იქიდან კრებაზე წავიდეთ»-ო, მწერდა.

სრულ 14 საათზე და 15 წუთზე მივედი კაფე «au Maréchal Jourdan»-ში, სადაც ნოე ახალ მოსული დამხვდა და პალტოს იძრობდა. დავსხედით. კრების ზოგიერთ საკითხებზე ვიმუსაიფეთ. სამის ნახევარზე მეტროში ჩავჯექით და კრებაზე წავედით. გზაში განსვენებული სულ პარტიულ და ეროვნულ საქმეებზე მსჯელობდა. მომავალ საქმიანობას ითვალისწინებდა, საქართველოში მუშაობის გაცხოველებაზე თავის აზრს მაცნობდა. ამ მუსაიფში ამოვედით Place d' italie-ზე და «გობლენის» ქუჩას დავყევით. ნოე მარჯვნით მომყობა. როდესაც გაუსწორდით მე-XIII უბნის თვითმართველობასთან მიწის სამუშევარისათვის აგებულ ჯეგირებს—ნოე მეკითხება: «სანდრო, რას ფიქრობ საქართველოში მუშაობის შესახ...» და უცებ ორჯერ გავარდა რევოლვერი. ქუჩა ხალხითაა გაჭედილი. ხალხი დაფრთხა და ჩვენს ირგვლივ ქუჩა დაცალიერდა... ვხედავ, ნახევარი მეტრის მანძილზე, რევოლვერის ტუსი შუბლში შემომყურებს... ვხედავ ჭანუყვაძეა. აღარ მიფიქრია, გავექანე და რაც ძალი და ღონე მქონდა თავი ვაძგერე ნიკაპზე. ამ დროს გავარდა მესამე და შუბლში დამიზნებული ტყვია თავის მარცხენა მხარეს გამეკრა. ვფიქრობ დაჭრილი ვარ, მაგრამ მკვლელი ხომ ჩემს ხელშია. ერთმანეთს დავეტაკეთ, ვცდილობ იარაღი ავართვა; ის კი ეძებს შესაფერის მდგომარეობას, რომ ტყვია მომიძღვნას, მომკლას და გაიქცეს (ფეხზე ჩუსტები ეცვა, გასაქცევათ მომზადებული იყო). მარცხენა ხელით იარაღიან ხელს უჭერ, მარჯვენათი კი სახეში ურტყამ, მინდა დავასუსტო და განვაიარაღო. ნოეს რა დაემართა არ ვიცი, მე ის დაჭრილი მგონია და აი, ამ დროს, ამ ჭიდილში თვალი მოვკარი, რომ ჩემი ნოე ქვაფენილზე გაშხლართულიყო. ერთი წუთით თვალთ დამიბნელდა. ამით ლაჩარმა მკვლელმა ისარგებლა და მომინდომა რევოლვერის ტუჩის საფეთქელში მოდება, მაგრამ ჩემი დაბნევა წუთიერი იყო, ნახულის შთაბეჭდილებით. ხელი ავუკარ და მეორე და მესამეც ჩემს თავზე გავარდა. ეხლა უკვე ცემით მისუსტებული ჭანუყვაძე დიდ წინააღმდეგობას ვეღარ მიწევს; ერთი გაბრძოლებაც, და ის ჩაიკეცა. რევოლვერი ხელთ ჩამივარდა... სიკვდილს უკვე ხალხმა გადაარჩინა. ეს ყველაფერი 4-5 წუთში გათავდა. ამ ხნის განმავლობაში ვერავინ, გარეშეთაგანმა, ვერ მობედა, მხოლოდ ჩემი ჭიდილი ამხ. მათე ბოლქვაძეს შორიდან დაენახა, რევოლვერი ეშინოდა და ჩემს საშველად გამოქცეულიყო, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია, რადგანაც მაყურებელ ხალხს ეგონა—ეს ალბათ მკვლელის დამხმარე არისო, გზა გადაუჭრეს, აქანმა თავში ჯოხი დაჰკრა და განაიარაღეს. ჭანუყვაძე პოლიციამ წაიყვანა. მხოლოდ კომისარიატში გავიგე, რომ ჩემი ძვირფასი ნოე იქვე გარდაცვლილიყო...

ს. მენაღარიშვილი.

ნოე რამიშვილი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წ. ოზურგეთის მაზრაში. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო სოფლის სკოლაში, სადაც მასწავლებლად იყო საქართველოში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ისიდორე რამიშვილი. შემდეგ მშობლებმა ნოე მიაბარეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულებისას მამა მისმა, ბესარიონმა, იგი მიაბარა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში.

1901 წელს ის შედის დორპატის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტის დამთავრება მას არ დასცალდა. ადმინისტრატიული წესით იურიევიდან იგი 1902 წლის დასაწყისში გადაასახლეს საქართველოში.

პირველად ნოე ბათუმში ცხოვრობს და კერძო გაკვეთილებით თავს ირჩენს. იმავე დროს იგი ჩაება ფარული ჯგუფების მუშაობაში ბათუმის მუშებში. ამ დროს საქართველოში სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით მუშათა მოძრაობაა. ხელისუფლება ქალაქებიდან სოფლად მრავლად ასახლებს მოძრაობაში მონაწილეობისათვის მუშებს, რომლებმაც ქალაქად შეძენილი ბრძოლის მეთოდი — გაფიცვა სოფლად მემამულეთა წინააღმდეგ გამოიყენეს. მთავრობამ სასტიკ ზომებს მიმართა. როგორც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელნი, ისე ახლად დაწყებული გლეხთა მოძრაობის მონაწილენიც მრავლად დაატუსაღეს და ციმბირში გადაასახლეს.

ასეთ დროს, 1902 წ. ზაფხულის მიწურულში, მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ნოე რამიშვილი და როგორც წევრი ბათუმის კომიტეტისა შეუდგა გურიაში სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების მოწყობას.

1903 წელს ივნისში მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა გურიაში მომუშავეთა ყრილობა. ამ ყრილობაზე საზოგადოთ ტერორის წინააღმდეგ უსასტიკესად გაილაშქრა მომხსენებელმა ნოე რამიშვილმა და ამ სისტემის ორგანიზაციებში უარისყოფა მოითხოვა. მისი აზრი ყრილობამ გაიზიარა. ყრილობამ იგი გურიიის სოციალდემოკრატიულ კომიტეტის წევრად აირჩია.

პოლიციური პირობების გამო ნოე იძულებული შეიქნა ბათუმისათვის თავი მოერიდებია. იგი თფილიისს გადასახლდა, იქ თფილისის კომიტეტის წევრად აირჩიეს მუშებმა.

1904 წლის შემოდგომაზე ნოე ყანდარმებმა თფილისში დაატაციმრეს და გადაგზავნეს ეტაპით ბათუმში. გზაში იგი მატარებლიდან გადახტა და ყანდარმებს გაექცა. ამ დღიდან მან არა ლეგალურათ იწყო ცხოვრება—ჯერ დონის-როსტოვში, სადაც მუშათა ორგანიზაციებში თვალსაჩინო წევრი იყო, შემდეგ 1905 წლის მარტში თფილისის ჰორიზონტზე გამოჩნდა და მიიღო სხვებთან ერთად მონაწილეობა სოც. დემ. ორგანიზაციებში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს ს.-დ. ორგანიზაციებში ბოლშევიკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობის დამარცხების შემდეგ (1905) ნოე იყო მენშეეიკთა ორგანიზაციების ბიუროს წევრი. ნ. ჟორდანიასთან ერთად ხელმძღვანელობდა 1905 წ. არალეგალურ ჟურ. «სოციალ-დემოკრატს».

1905 წლის რევოლიუციის იგი ერთი ხელმძღვანელთაგანია, რეაქციის ხანებში მუშათა ორგანიზაციებს მტკიცედ აკავშირებს, სოციალდემოკრატიულ გაზეთების ხელმძღვანელთაგანია და უბადლო პროპაგანდისტ-ორგანიზატორია. რეაქციის ხანაში არა ერთხელ და ორხელ დააპატიმრეს და ადმინისტრატიულათ გადაასახლეს, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებდა უკან დაბრუნებას და მუშათა წრეებში დიდი იმედის და ენერგიის შეტანას. ნოე იყო ჩვენი პარტიის ყველა უმაღლეს დაწესებულებების არჩეული წევრი, თფილისის ქალაქის ხმოსანი, რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მსოფლიო ომის დროს ნოე იყო არა მარტოდ პარტიის ხელმძღვინელთაგანი, არამედ პარტიის გაზეთების რედაქტორი.

1908-9 წლებში ნოე გაემგზავრა უცხოეთში, სადაც სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში.

1917 წ. დიდი რევოლიუციის დროს იგი არის თფილისის მუშათა და ჯარის-კაცთა აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა-გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრის წევრი პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი. იგი იყო არჩეული რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრად, შემდეგ ამიერ კავკასიის სეიმის, ეროვნულ საბჭოს, პარლამენტის და დამფუძნებელი კრების წევრი, დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარე, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს ოკუპაციის, 1921, შემდეგ ნოე დამფუძნებელი კრების დადგენილებით, როგორც მთავრობის წევრი, საქართველოს მთავრობასთან ევროპაში გაიხიზნა. აქ აწარმოებდა იგი საქართველოს გასათავისუფლებელ მუშაობას.

1930 წელს 7-ს დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, პარიზში, იტალიის მოედანზე, როდესაც ნოე რამიშვილი ს. მენაღარიშვილთან ერთად კრებაზე მიდიოდა, ბოროტმა ხელმა რევოლვერის ტყვიით მისი სიცოცხლე შესწყვიტა.

მკვლელი ვინმე ჟანუყვაძეა.

ნოე რამიშვილის დაკრძალვა

შაბათს, 13 დეკემბერს, ბერძნების ეკლესიაში, საცა დასვენებული იყო ნოე რამიშვილის ცხედარი, გადახდილ იქნა პანაშვიდი ქართული საეკლესიო გალობით. დიდი ეკლესია გაჭედილი იყო დამსწრე ხალხით. განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ თავი მოიყარა არა მარტო მთელმა ქართველობამ, არამედ მრავალ უცხოელებმა: ფრანგებმა, აზერბეიჯანელებმა, სომხებმა, მთიელებმა, რუსებმა და სხვ. სამძიმარს იღებდა ქ-ნი მარო რამიშვილი და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

დაკრძალვა მოხდა კვირას, 14 დეკემბერს, Bagneux-ს სასაფლაოზე, რომელიც პარიზს სამხრეთით ეკვრის. დღის 1 საათზე წაასვენეს ნეშტი სასაფლაოსკენ; სამგლოვიარო ავტომობილს ახლდენ მიცვალებულის ოჯახის წევრები, მთავრობის თავმჯდომარე და მისი წევრები, აგრეთვე ზოგიერთი უახლოესი ამხანაგები განსვენებულისა. სასაფლაოს კარებთან ნ. რამიშვილის ნეშტს შეხვდა დიდძალი ხალხი, შემდგარი ქართველებისგან და უცხოელებისგან. კარებთანვე შესდგა დიდი პროცესია, რომელმაც მიაცილა ნეშტი საფლავამდე. ცხედარს მიჰყვებოდა, ოჯახის წევრების შემდეგ, საქ. მთავრობის წევრები ნ. ჟორდანიას მეთაურობით, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი, ექ. თაყაიშვილი, სხვადასხვა ეროვნებათა და ორგანიზაციათა დელეგაციები და სხვ. კუბო შემკული იყო აუარება გვირგვინებით სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პირთაგან. დაკრძალვას დაესწრენ, მრავალ მეგობარ და ნაცნობ ფრანგებს გარდა, საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელნი, უცხო ელჩები და სხვ.

გათხრილ საფლავთან დასვენებულ ცხედრის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს: საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ; ევროპაში არსებულ საქართველოს დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების და საქართველოს დამხმარე ფრანგულ საზოგადოების სახელით—აბელ შევალიემ; რუსეთის ს.დ.მ. პარტიის საზღვარგარეთელ დელეგაციის და პარიზის ორგანიზაციის სახელით—ი. ლიდიაევსკიმ; უკრაინულ ცენტრისაგან—პროფ. შულგინმა (ფრანგულათ); სომხეთის დელეგაციის სახელით—ა. ი. ხატისიანმა; კავკასიის ცენტრის და აზერბეიჯანის სახელით—მ. რასულ ზადემ; მთიელთა სახალხო პარტიის სახელით—გ. ზასიზმა; თურქესტანის ეროვნულ გაერთიანების სახელით—მ. ჩოკაევმა; საქ. ერ. დემ. პარ. სახელით—გ. გვაზავამ; ს. ფედერ. პ. სახელით—გ. ნაკაშიძემ; პოლონეთში ქართველ კოლონიის სახელით—კ. იმნაძემ; ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის სახელით—ვ. ინწკირველმა; საქართ. სოც. დემ. პარტიის სახელით—ვლ. მგელაძემ და კ. გვარჯალაძემ.

სიტყვები

(ზოგიერთი სიტყვები იბეჭდება შემოკლებით)

ნოე ჟორდანია.

ქართველი ერის სახელით ვეთხოვები ამ ძვირფას ცხედარს და მას ვატან სამარადისოთ ამ ერის მადლობას, მადლობას იმ ღვაწლისათვის რაიცა მას მიუძღვის მის წინაშე და რომლის საკურთხეველზე მან თავის თავი დასდო.

დღეს ჩვენთან ერთათ გლოვობს მთელი ქართველი ხალხი, ჩვენთან ერთათ განიცდის ამ დაკარგვის ტკივილებს და აღშფოთებას იმ ვერაგთა წინააღმდეგ რომლებმაც ეს საშინელი დანაშაული მოაწყო.

ქართველი ხალხი კარგად იცნობდა ნოე რამიშვილს, ის მას მუდამ, ოცდაათი წლის განმავლობაში, ხედავდა ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე, თავდადებულს, შეუპოვარ და უშიშარ შემტევს. იყო ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალდემოკრატიულ პარტიაში თუ ერის სამსახურში—ის ყოველთვის და ყოველგან ეჭირა უმაგრესი პოზიცია, იდგა დროშით ხელში დასანახავ ადგილზე, მას ხედავდენ ყოველ-მხრით, მტერნიც და მოყვარენიც. მას კარგათ იცნობდა საქართველო, მას თვითონ უგემია ნაყოფი მისი გამჭრიახობის, მისი საქმიანობის, მისი მხნეობის და თავის დადების. ქვეყანას ის არ ავიწყდებოდა და ეს ათი წელია მას ნატრულობდა—ჩამოვა და ძველებურათ გვიმეთაურებსო.

ნოე ახლა ვეღარ ჩავა, ვეღარ უმეთაურებს თავის საყვარელ ქვეყანას, ვეღარ მიიღებს მონაწილეობას მტრის დაცემაში და ერის აღდგომაში. მაგრამ ჩავა მისი სული, მისი გაბედულობა, მისი მხნეობა, მისი მორალური სახეობა, მისი ფრთები, მაღლა, იდეალის მწვერვალისაკენ აღმამფრენი. ტყვია ვერ მოკლავს იდეას; ნოე დაეცა, ერი თავის ალაგასაა, ბრძოლა გრძელდება. თვითეული მებრძოლი ამ ერთან არის გადაბმული, მასთან არის სულიერათ გაერთიანებული.

რა შემიძლია უთხრა ამ ძვირფას ნეშტს სანუგეშოთ? არაფერი, სრულიად არაფერი გარდა ერთისა და ეს ეთი მას ყველაზე მეტათ გაახარებს. მას კარგად ვიცნობ, მისი სული და გული ჩემთვის მუდამ ღია იყო და ეს ერთი ჩემი დაპირება მას ცივ სამარეშიაც კი გაახარებს: დროშა რომელიც მას ხელიდან გააგდებიეს ჩვენ მიერ აღებულია, გზა მის მიერ შეწყვეტილი ჩვენ მიერ გაგრძელებულია.

ბ. აბელ შგვალ

ყენევის «საქართველოს მეგობართა საერთაშორისო კომიტეტის» და პარიზის «საფრანგეთ-საქართველოს საზოგადოების» სახელით ვუცხადებ რამიშვილს მწუხარე პატივისცემას იმათგან, რომლებიც არ არიან ქართველები, მაგრამ რომელთაც უყვართ საქართველო. 1920-21 წლების ტრაგიკულ პირობებში ეს ჯერ კიდევ ახალგაზდა, მშვიდი ადამიანი განასიხიერებდა თავის სამშობლოს, მან განასახიერა თავისი ქვეყანა თავის ტრაგიკულ სიკვდილითაც. მე გავიცანი იგი ტფილისში. ის პასუხისმგებელი იყო საზოგადოებრივ წესიერებისათვის, რომელიც არ დარღვეულა მტრის შემოსვლამდე. ხოლო იგი მოკლეს 1930 წ., როგორც მისი სამშობლო 1921 წელს. მას ეზიზღებოდა ძალმომრეობა, ამისთვის სძულდათ. ის მსაჯულებს მიანდობდა ზრუნვას, რომ მათ მიეზღოთ ყველასათვის სამართლისამებრ. დეე, გვესმას მისი ხმა იმ ქვეყნიდან. იგი იყო ადამიანი, წინამძღოლი, დიდი გულის პატრონი. მისი ოჯახისკენ, რომელიც მას ესოდენ უყვარდა, მისი მეგობრების, თანამემამულეების, მისი ქვეყნისკენ არის მიმართული დღეს მთელი განათლებული კაცობრიობის თანაგრძნობა ჩუმი, აღელვებული და აღშფოთებული და მუდამ ერთგული და ნდობით აღჭურვილი. ვაი, რომ უთვალავია წამებულთა რიცხვი საქართველოს ეროვნულ საქმისთვის!

მშვიდობით, რამიშვილო, თქვენ კვლავ იცოცხლებთ თქვენ განთავისუფლებულ სამშობლოსთან ერთად!

ი. ი. ლოდიუენსკი

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, მე მხვდა წილად საპატიო, მაგრამ სამწუხარო და მგლოვიარე მოვალეობა, აქ—ჩვენი ძველი თანამებრძოლის, ამხანაგის და მეგობრის ნოე რამიშვილის საფლავთან გამოგიცხადოთ საქართველოს ს. დ. პარტიას, განსვენებულის ოჯახს და ყველას თქვენ გულითადი თანაგრძნობა რუსეთის სოც. დემოკ. მუშათა პარტიის სახელით.

ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელ დელეგაციის, პარიზის ჯგუფის სახელით მინდა გითხრათ, თუ როგორ დაგვაღონა ამ ტრაგიკულმა სიკვდილმა, როგორ მძიმე ლოდად დაგვაწვა გულზე ეს მოულოდნელი დანაკლისი, როგორ მწარედ ვიგრძენით, რომ აღარაა უკვე ის, ვისთანაც ერთად მრავალი წლის განმავლობაში საერთო საქმისთვის ვიბრძოდით.

ეს ხანგრძლივი მძიმე ბრძოლა თვითპყრობელობასთან, ეს რევოლუციონური ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა და რუსეთი განთავისუფლდა დიდი ხნის ბოროკილებისაგან. ბედმა არგუნა ჩვენს თაობას უდიდესი გამარჯვება, უდიდესი ბედნიერება... ამ სახელოვან ბრძოლაში ჩვენი უდროოთ დაღუპული ამხანაგი ნ. რამიშვილი იღებდა მეტად აქტივურ მონაწილეობას, იყო წევრი რუსეთის ს. დ. მ. პარტიის ცენტ.კომიტეტის და ასრულებდა ფრიად საპასუხისმგებლო საქმეებს. და როცა თებერვალში გამარჯვებულმა რევოლუციამ დაამხო თვითპყრობელობა, რამიშვილმა როგორც ყველამ ჩვენ იგემა სიხარული და მეორე დღესვე შეუდგა მძიმე და ძნელ მუშაობას ახალი სახელმწიფოებრივობის შესაქმნელად.

მოვიდა ოკტომბერი და რ.ს.დ. პარტიის და საქართველოს ს. დ. პარტიის გზები ერთმანეთს დაშორდენ. ბოლშევიზმის სოციალური სტრუქტურის და ბუნების ანალიზი, ტაქტიკური შეფასება, ბრძოლის მეთოდები გვქონდა სხვადასხვა. ისტორიულმა პირობებმა გაგვთიშეს. ქართველმა სოც. დემოკრატებმა აირჩიეს გზა, რომელსაც უკარნახებდა მათი შეგნება და სინდისი, და რამიშვილიც ჩვეულებრივის გატაცებით გაყვა ამ გზას.... აქ გათხრილ საფლავთან, ვერაგული ტყვიით განგმირული რევოლუციონერის საფლავთან, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ბრძოლას შრომის განთავისუფლებისათვის და რომელმაც იხილა თავის სამშობლოს თავისუფლების პირველი სხივები, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი დღევანდელი უთანხმოება გარდამავალია და ვფიქრობთ, რომ როცა ბოლშევიზმის ლიკვიდაცია მოხდება, ჩვენი გზები ერთმანეთს შეხვდებიან...

მ. ა. შულგინი

უკრაინის დემოკრატული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, რომელიც საქართველოს მთავრობის მსგავსად, უცხოეთშია გადმოხვეწილი, უკრაინის მისიის და აგრეთვე უკრაინელ ემიგრაციის უმაღლეს საბჭოს სახელით მოგიძღვნით ულრმეს სამძიმარს. მწარე უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ნოე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამიშვილის ოჯახს, იზიარებს არა მარტო მისი ერი, არამედ უკრაინის ხალხიც, რომელიც საქართველოსთან მხარდამხარ იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის. უკრაინა არასოდეს დაივიწყებს, რომ განსვენებული იყო ერთი ინიციატორთაგანი ჩვენი მეგობრული დაახლოვებისა საქართველოსთან. განსვენებული დიდი პატრიოტი იყო, უსაზღვროთ ერთგული თავის ქვეყნის. სახელმწიფო პიროვნება იყო, ხოლო მასთანვე რევოლუციონერის სულის პატრონი. იყო მებრძოლი, იშვიათის უნარით დაჯილდოვებული: ენერგიით, დაუღალავი ნებისყოფით. მტერს შეუძლია გაიხაროს—აღარაა ერთი მისი უსაშიშრეს მოწინააღმდეგეთანი. ხოლო მტერი ნუ მიეცემა ილუზიებს: შეიძლება ადამიანის მოკვლა, თუნდაც დიდის, მაგრამ არა ერის. რამიშვილი მკვდარია, მაგრამ მისი ერი ცოცხლობს და ფხიზლობს. იმარჯვებს იდეა, რომლისთვისაც მთელი სიცოცხლე იბრძოდა რამიშვილი. ქართველი ერი იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი. და ეს დამოუკიდებლობა შეიქნება საუკეთესო ძეგლი, რომელიც კი შეიძლება ავაგოთ ისეთი მამულიშვილის საფლავზე, როგორიც იყო ნოე რამიშვილი.

ა. ხატისიანი

საქართველოს მთავრობის ბ-ნო თავმჯდომარე, ქალბატონო! სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის სახელით გიცხადებთ უღრმეს თანაგრძნობას და უდიდეს მწუხარებას დიდათ პატივცემულ ნოე რამიშვილის ტრაგიკული სიკვდილის გამო. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ამ გრძნობებს მივუმატო პირადი სამძიმარი ჩემი, იმ ადამიანისა, რომელსაც არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა თანამშრომლობისა საქართველოს დაღუპულ დიდ ადამიანთან და სახელმწიფო მოღვაწესთან. ჩვენთვის განსვენებული იყო იშვიათი რევოლუციონერი და შესანიშნავი პოლიტიკური პიროვნება საქართველოსი. მის არსებაში გრძნობდით ძალას, მის ძარღვებში დუღდა რევოლუციონერის მხურვალე სისხლი, რომელიც იტაცებდა ხალხის მასას მსხვერპლის გასაღებად და მე თვალწინ მეხატება მიტინგები, კრებები, პროცესიები, რამიშვილი რომ აცხოველებდა თავის გატაცებით. როგორც პოლიტიკური მოღვაწე, როგორც აღფრთოვანებული პატრიოტი, იგი მუდამ ემსახურებოდა საქართველოს ინტერესებს, რომელსაც შესწირა მთელი სიცოცხლე. მას ყავდა ერთგული მეგობრები და მტრებიც. როგორც თავის თანამემამულეთა შორის აგრეთვე მეზობლებში: ასეთია ხვედრი დიდი ადამიანების. მხოლოდ საზოგადოებრივი საქმისთვის ცოცხლობდა და თუმცა იცოდა, რომ სიკვდილი მალულად დარაჯობდა, მაგრამ მაინც არ ეშინოდა. მე მინახავს იგი საკუთარ სახლში: იშვიათ მეოჯახეს მას ღრმად უყვარდა თავისი კერა, როგორც მამას, როგორც მეუღლეს. და დღეს, როცა იგი უკვე აღარაა, ვიცით, რომ მისი ხსოვნა წარუხოცელი დარჩება მთელი კავკასიის და მშობელი საქართველოს მატიანეში. ვუძღვნით უღრმეს პატივისცემას და მწუხარებით ვიხრით თავს მის საფლავის წინაშე!

მ. ე. რასულ-ზადე

მტრის ტყვიამ გული გაუგმირა დიდს ადამიანს, გამოჩენილ მოღვაწეს და თავისუფლებისათვის მებრძოლს. აღარაა რამიშვილი. ჩვენ გვესმის მთელი სიძლიერე და სიმძიმე მწუხარებისა, რომელიც თავს დაატყდათ ჩვენს მეზობელთ ქართველებს. ეს საერო მწუხარებაა. მაგრამ გლოვა მარტო ქართველების არაა, ვგლოვობთ ჩვენც ადერბეიჯანელებიც, გლოვობენ კავკასიის ყველა მამულიშვილები. შესაზარ ამბავს, რომელმაც დაგვკოდა აქ ემიგრანტები, მწარედ გამოეხმაურებიან იქ—არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

მტერს შეუძლია გაიხაროს—მისმა ტყვიამ დასცა რამიშვილი. ხოლო დაეცა სხეული რამიშვილის, სული მისი კი უვნებელია. ცოცხალია. არ შეუძლია არ იცოცხლოს. ვერავითარი ტყვია, ვერაგულად დარტყმული, ვერავითარი ძალადობა ვერ მოკლავს იდეას, იდეას, რომელიც შესატყვისია სოციალურ-ისტორიულ სიმართლის. და სწორედ ასეთ იდეას ემსახურებოდა განსვენებული. იდეა ეროვნულ დამოუკიდებლობისა განუკვეთელი და აუცილებელი ნაწილია საკაცობრიო დემოკრატულ მოძღვრებისა, რომელსაც მომავალი ეკუთვნის.

როგორც ნამდვილი მებრძოლი და რევოლუციონერი, რამიშვილი დაიღუპა პოსტზე, დროშით ხელში, რომელზედაც ნათლად ეწერა: დამოუკიდებელი საქართველო, ლოზუნგი, რომელიც იყო მებრძოლ-იდეალისტის მთელი სიცოცხლის მიზანი. მაგრამ მასში ქართველი რევოლუციონერის იდეალიზმი შედუღებული იყო სახელმწიფო მოღვაწის რეალიზმთან—მას ესმოდა, რომ მარტო საქართველოს საკუთარის ძალებით არ ძალუძს გაუმკლავდეს მტერს. ნათლად ჰქონდა შეგნებული კავკასიის ერების ინტერესთა ერთობა. საქართველოს განთავისუფლება მისთვის დაუშორებელი იყო მთელი კავკასიის განთავისუფლებასთან. ხედავდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და სადღეისო დამოუკიდებელი კავკასიის კონფედერაციის იდეა. ანგარიშს უწევდა აგრეთვე ყველა დამონებულ ერების შეკავშირებას პირისპირ მტრისა, რომელიც ერთნაირად სჩაგრავს კავკასიას, უკრაინას, თურქესტანს და სხვა ეროვნულ სახელმწიფოებს...

ძვირფასო მეგობარო, შენ დაიღუპე სახელოვან პოსტზე. ვერაგმა ხელმა მოგწყვიტა საყვარელს საქმეს, რომელსაც ემსახურებოდი მთელი სიცოცხლე. ფიცსა ვდებთ, შენი ახლად გათხრილი სამარის წინაშე გაძლევთ სიტყვას, რომ მტკიცედ განვაგრძობთ ამ საერთო საქმეს, რომელსაც ერთად ვაწარმოებდით. არასოდეს ვუღალატებთ შენს ანდერძს.

მოქალაქენო, დიადი იდეალების გამარჯვებას სჭირია მსხვერპლები. დიდი მსხვერპლის ახალ საფლავთან დავდვათ ფიცი, რომ შურს ვიძიებთ მისთვის! და საუკეთესო შურის ძიება იქნება განხორციელება მისი საყვარელი იდეალებისა. მისი უძვირფასესი ძეგლი იქნება—საქართველოს განთავისუფლება და მოწყობა კავკასიის კონფედერაციისა. მისი ნეშთის დაბრუნება განთავისუფლებულ სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობლოში—აი მოვალეობა ჩვენი, ცოცხლებისა!

რამიშვილმა განახორციელა თავის არსებაში მებრძოლი ხალხის ნებისყოფა და ენერგია. იგი სახალხო მებრძოლი იყო. დაიღუპა გმირი, მაგრამ არსებობს მისი მშობელი ხალხი, ხალხის ცოცხალი ნება, რომელსაც განსვენებული ახორციელებდა. ამ ნებისყოფამ უნდა გაიმარჯვოს, იგი გაიმარჯვებს!

დასასრულ ნება მომეცით, ადერბეიჯანის ეროვნული ცენტრის სახელით გამოვუცხადო ღრმა სამძიმარი საქართველოს მთავრობას და აგრეთვე ადერბეიჯანის ფედერალისტების დემოკრატიული პარტიის «მუსავატის» სახელით გადავსცე დიდი თანაგრძნობა საქარ. სოც. დემ. პარტიას და გამოვსთქვა ღრმა მწუხარება კავკასიის გაერთიანებულ ორგანიზაციების დავალებით, რომლებშიაც რამიშვილი იღებდა მეტად მხნე მონაწილეობას...

ძვირფასო მეჯობლებო, თქვენი გლოვა ჩვენი გლოვაა: თქვენთან ერთად დავსტირით დაუვიწყარ რამიშვილს, თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ იმ ჩვენი საერთო მისწრაფების სრული გამარჯვებისთვის, რომლის მსხვერპლი გახდა დიდი გმირი, ჩვენი თანამებრძოლი. იყოს საუკუნო მისი ხსენება!

გ. ზ ა ნ ო ზ ი.

ლაჩრულად და ვერაგულად მოკლული ნოე რამიშვილის საფლავის წინაშე, კავკასიის მთიელთა სახალხო პარტია ფიქრობს, რომ მას არ მართებს დღეს ჩამოსთვალოს ის სამსახური, რომელიც გაუწია განსვენებულმა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის საქმეს. ამიერიდან რამიშვილის სახელი ისტორიას ეკუთვნის. იგი იყო ერთი იმათგანი, რომელთაც კავკასიის სახელმწიფოებრივობის სიკეთეს და სიმტკიცეს შესწირეს ძველი ნაციონალიზმის ინტერესები. მას სწადდა მთლიანი კავკასიის სახელმწიფოს შექმნა, ამისთვის გადალახა ვიწრო ნაციონალური პოპულიარობა, ამ საქმისთვის არ იცოდა დაღლობა, არ აბრკოლებდა სხვათა წინააღმდეგობა. გრძნობის პატრონს, კავკასიელ ძმების უსაზღვროთ ერთგულს, მას ვერ წარმოედგინა კავკასია თუ არა ერთად და განუყოფელად. მუდამ დაუღალავი, არაჩვეულებრივი ენერგიის პატრონი, გამჭრიახი, დიდი პოლიტიკური სტაქით იგი თითქმის საწინდარი იყო საქმის გამარჯვების და სული კავკასიელთა ერთობის, სიმბოლო ჩვენი თანხმობის, წინასწარმეტყველი კავკასიის ახალი ერასი. მტრის ვერაგული ტყვიით განგმირული ნ. რამიშვილი დაეცა, როგორც მრავალი დიდი ადამიანი და ხომ ყველამ უწყის, რომ ეკლიანია და მწარე და ხშირად ყველაზე უფრო ტრაღიკული გზა უფლებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებისა. აღარაა რამიშვილი... მაგრამ მისი ხსოვნა ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს ჩვენს შორის. დეე, ამ დიდი კაცის სიკვდილი იყოს კავკასიელებისთვის სიმბოლო ერთობისა, დეე, საქმე, რომელსაც ის თავგამოდებით ემსახურებოდა, იყოს ჩვენთვის კანდელი, რომელიც გვიცავდეს ხიფათისაგან. გულითადი მეგობრის საფლავის წინაშე მთიელთა სახალხო პარტია ფიცსა სდებს, რომ არასოდეს უღალატებს მის ანდერძს.

მ. ჩ ო კ ა ე ვ ი.

წილად მხვდა მწარე დავალება თურქესტანის ეროვნულ გაერთიანების სახელით სიტყვა ვსთქვა ნ. რამიშვილის საფლავზე. თურქესტანელების განსაკუთრებულად ვაფასებდით ნოეს. იგი გვეგუებოდა ჩვენ არა როგორც ქართველი მხოლოთ, არამედ როგორც კავკასიელი საერთოდ. აქ პარიზში თუ სტამბოლში ჩვენს შეხვედრებს ყოველთვის მეგობრული ხასიათი ჰქონდა. ვსაუბრობდით ჩვენი საერთო საქმის, განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ და ამ საუბრებისგან მე დამრჩა დაუვიწყარი კვალი გულწრფელობის და რწმენის, დრო არაა ახლად გაჭრილ სამარესთან ვილაპარაკო ჩემ პირად მოგონებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ჩემი ორი წლის ყოფნასთან საქართველოში, სადაც ყველაზე ხშირად განსვენებულს ვხვდებოდი. ახლა მინდა მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნო ერთი გარემოება: ჩვენ თურქესტანელებს ნოე ყოველთვის მოგვიწოდებდა გეგმიანი ორგანიზაციული მუშაობისათვის, გვაძლევდა გონივრულ რჩევას და ნამეტურ გვაფრთხილებდა—არ გაგიტაცოთ უსარგებლო და უგუნურმა «ეროვნულმა მტრობამ». «ეროვნული ბრძოლა, თუ არ ემყარება საკუთარ ეროვნულ მე-ს და ეროვნულ უფლებათა ღრმა და მტკიცე შეცნობას, არასოდეს მოიტანს სასურველ ნაყოფსო», გვეუბნებოდა იგი: «ჩვენ მოვედით დამოუკიდებელ საქართველოსთან არა ვისიმე სიძულვილით, არამედ იმის შეგნებით, რომ ქართველ ხალხს აქვს სრული უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისო». ნოე გვეუბნებოდა ამას არა იმიტომ, რომ თითქოს თურქესტანელებში იყოს «მტრობის» მიმდინარეობა, არამედ იმიტომ, რომ იცოდა თურქესტანის ძალთა პოლიტიკური ორგანიზაციის სისუსტე და ეშინოდა, რომ ჩვენი ახალგაზდები არ გაყოლოდენ «იაფი გმირის» იოლსა და მოლიპულს გზას. ნ. რამიშვილის სიტყვები დიდს შთაბეჭდილებას ახდენდენ თურქესტანელ მსმენელებზე. და დღეს ჩვენ დავტირით მას ისე, როგორც ქართველები, როგორც დასტირიან კავკასიელი თანამშრომელები და მეგობრები, ვინაიდგან ის იყო ერთგული მეგობარი და ამხანაგი ჩვენი, ისე როგორც ქართველების და კავკასიელების. იგი იყო ჩვენთვის მაგალითი მებრძოლისა ძალადობის წინააღმდეგ ერთა უფლების და თანასწორობის გასამარჯვებლად. დეე დაუვიწყარი იყოს მისი ხსოვნა ჩვენს გულში!

გ ი ო რ გ ი გ ვ ა ზ ა ვ ა:

ძვირფასო ნოე.

შენ ბრძოლისთვის იყავ შობილი და ბრძოლის ველზე დალიე სული. შენ იბრძოდი და ამ შეურიგებელ ბრძოლაში გზას გინათებდა მხოლოდ ერთი ვარსკვლავი: თავისუფლება შენი ქვეყნის.

შენ ჩაები ამ დიდ ბრძოლაში ჯერ კიდევ იმ ხანებში, როცა საქართველოს სახე და სახელი თითქმის წაშლილი იყო. საქართველოს გარს ერტყა რუსეთის იმპერიალიზმის გარდაუვლელი ზღუდე. შენ ეს დაინახე, შენ იგრძენი მთელი ერის ჭირ-ვარამი და დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნდი, რომ არ არის ხსნა და შველა, სანამ ეს ზღუდე არ იქნება გახეთქილი და დანგრეული. შენ დარწმუნდი, რომ ამ ზღუდის აფეთქება შეიძლება მხოლოდ შიგნიდან, მხოლოდ იმ სოციალური კლასის ამოძრავებით, რომელიც იყო ყველაზე უფრო დაჩაგრული და დამონებული. მასთან ერთად იერიშის მიტანა ამ უხეში ძალის წინააღმდეგ იქნებოდა შეიყვანა იმპერიალიზმის და, მაშასადამე, გახეთქაც იმ ზღუდისა, რომელიც ერტყა საქართველოს... აგრეც მოხდა. რუსეთი დაინგრა, განთავისუფლდა საქართველო და გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა.

ძვირფასო ნოე, ამ დიად ბრძოლის დროს შენ იყავი პირველ რიგში და მტკიცეთ გეჭირა ხელში დროშა საქართველოს სუვერენობისა.

დრო გამოიცვალა, გამოიცვალა მეთოდიც ბრძოლისა. უწინ თუ საჭირო იყო ამოძრავება კლასობრივი ძალების, ეხლა აშკარა გახდა ამოძრავება ეროვნული ერთეულების. აი ამ ღია საფლავის წინაშე გაისმა ხმა. ის ხმა იყო უკრაინის, აზერბაიჯანის, მთისა სომხეთის, თურქესტანის... აი საბუთი იმ დიადი მოძრაობის, რომლის სულის ჩამდგმელი იყავი შენ. შენი შრომით და თავგამოდებით შეიქმნა ერთი ფრონტი დამონებული ერებისა, ფრონტი მიმართული იმავე იმპერიალიზმის დასამხობად... გამოიცვალა მეთოდი ბრძოლისა, მაგრამ კი არა ვარსკვლავი, რომელიც უკვდავია, უცვლელი და მარადიული: ვარსკვლავი საქართველოს თავისუფლებისა.

თავისუფლება თუ მონობა, ცივილიზაცია თუ ველურობა?—აი ის საკითხი, რომელიც სდგას კაცობრიობის წინაშე. ამ დიად იდეურ ბრძოლაში აიჭრა შენი სახე, ძვირფასო მამულიშვილო, და ამ სახეს არასოდეს არ დაივიწყებს მადლობელი საქართველო.

გ. ნაკაშიძე.

რაინდი, თავგანწირულება-პატრიოტიზმის სიმბოლოდ ცნობილ პოლონეთიდან ჩამოვედი დღეს აქ, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელით გამოგეთხოვო. უკანასკნელი სიტყვა გითხრა, გადმოგცე ჩვენი—ყველა ქართველების სიმწარე და ნაღველი, ჩვენი აღშფოთება!..

ძვირფასო ნოე! ნუ თუ ამისთვის იღწვოდი, ნუ თუ ამისთვის შეალიე მთელი შენი ნიჭი და ენერგია ქართველ ხალხს, რომ ქართველი დედის ძუძუთი გამოზდილს ვიღაც მახინჯ-ვიგინდარას გაეგმირა მუხანათურად შენი გული?! ნუ თუ ამისთვის მედგრად იდექი სამშობლოს სადარაჯოზე და დაურიდებლად ებრძოდი შენი ქვეყნის მტარვალებს?..

როს სამუდამოდ მიგაბარებთ უდროოდ გათხრილ ცივ სამარეს, შენი სული მოსწყდება აქაურობას, გარდალახავს დროს და სივრცეს და ესტუმრება, თავს შემოევლება ჩვენს საყვარელ მშობლიურ მხარეს.

შენ ეწვევი, მოწიწებით შეაღებ კარებს საქართველოს თავდადებულ შვილთა სავანეში, შენ იხილავ იქ კოტე აფხაზის, ვარდენ წულუკიძის, გენერალ ანდრონიკაშვილის დიად აჩრდილებს; შენ გადაეხვევი, გულში ჩაიკრავ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე რაინდებს ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს, ვალიკო ჯუღელს, გოგიტა ფალავას; შენ დასტკბები გია აბაშიძის, გედეონ სვანიძის, გიგა ჩიქოვანის სიწარმტაცე-სიმშვენიერით.

შენს წინ, ვითარცა საქართველოს მთავრობის წევრის წინაშე, მწყობრი გუნდებით, ჩაივლიან ტაბახმელას და კოჯრის გმირები, ქართველი ერის ისტორიის საუკეთესო ფურცლის თვისი სისხლით დამწერელნი.

შენ იხილავ იქ მრავალ და მრავალ ქართველთ, სამშობლოსთვის თავგანწირულთ და თავდადებულთ.

და ეტყვი მათ:

საქართველოს უცხოეთში გადატყორცნილ მთავრობის მინისტრმა მე პირნათლად მოვიხადე ჩემი ვალი... და პარიზის ქუჩაზე თვისი სისხლის დანთხევით. მე ღირსი გავხდი თქვენთან ერთად ყოფნისა და ჩვენი სამშობლოს წმინდა ხსოვნისა!..

ასე ეტყვი, ასე მიმართავ საქართველოსთვის განწირულ გმირთა აჩრდილებს და გაქვს ამის სრული უფლება...

რას ვიტყვით ჩვენ—ემიგრანტები?

ქართველო ემიგრანტებო! დროა გონს მოვიდეთ, თვალები გავახილოთ და გავიგოთ ჩვენი ერის გულისტკივილი. ჩვენ ხომ არა ვართ მის მიერ გაკიცხულნი, გამორიყულნი? ჩვენ ხომ მისი მებრძოლნი შვილნი ვართ, მისთვის ყოველ წუთს სასიკვდილოდ განმზადებულნი, თავგანწირულნი! დეე, ჩვენი ქვეყნის მტრის მოსყიდულ ვიგინდარა-არამზადების ტყვიებით დაიცხრილოს, გაიგმიროს ჩვენი სხეული, მაგრამ ამაყი, უტეხი და უძლეველი იყვეს ჩვენი სული, ერთი მიზნისკენ—საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლებისკენ მიმართულ-აზვირთებული!

დროა დავივიწყოთ პირადი, კერძო, ჯგუფური მტრობა-უთანხმოება და შემოვკრებეთ, გავერთიანდეთ ყველანი ეროვნული მთავრობის გარშემო საქართველოს დამოუკიდებლობის ემბლემად ქცეულ ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით!

ეს არის ჩვენი ისტორიული მოვალეობა, ამას გვავალებს, ამისკენ ხმამაღლა მოგვიწოდებს ვერაგი მტრის ტყვიით სამუდამოდ გაცივებული ნეშტი...

ვ. იმნაძე.

ძვირფასო ნოე! ნება მიბოძე პოლონეთის ქართველი კომიტეტის და კოლონიის სახელით ორიოდე წრფელის სიტყვით გამოგემშვიდობო.

უბადლო ხელმძღვანელი იყავ მებრძოლ საქართველოსი. ჩვენი ტანჯული სამშობლოს ჯალათებმა ეს ყველაზე უკეთ იცოდენ. საშიშროებას ხედავდენ შენში და დიდი ხნის გადაწყვეტილება კიდეც მოიყვანეს სისრულეში...

მოვა დრო და ღირსეულათ იქნება დაფასებული ის ფანატიკური, უდრეკი და მტკიცე რწმენით აღსავსე ბრძოლა, რომელსაც შენ ეწეოდი საქართველოს განთავისუფლებისათვის. შენთვის არ არსებობდა სხვა რამ პირადი ბედნიერება გარეშე ქართველი ხალხის თავისუფლება-ბედნიერებისა.

ასკეტი პირად ცხოვრებაში,—მშფოთარე და მოუსვენარი მებრძოლი ხელმძღვანელი, შენი ფუფუნე-



ნოე რამიშვილის კუბო

ბერძნების ეკლესიის კარებთან.

ბის საგანი იყო მარად ფიქრი, ოცნება და მოქმედება მხოლოდ საქართველოზე, მხოლოდ საქართველოსთვის.

დავაფასეთ ეს? ვერა! ალბათ, როგორც გვჩვევია ქართველებს, აწი დავაფასებთ...

ყველაზე უკეთ საქართველოს მტერმა დაგაფასა და ხედავდა რა შენში სასტიკს და დაუნდობელ მოწინააღმდეგეს, მუხანათურათ ბოლო მოგიღო.

«ნურავინ ფიქრობს მოჰკლას სული სალტის მოჭერით»-ო, ამბობს საქართველოს მგოსანი.

უბადრუკნი! სალტეს უჭერენ საქართველოს სულს. მარა მას ვერ მოჰკლავენ—ვერ მოსპობენ. ამის თავდებია საქართველოს ათასწლოვანი ისტორია.

ჯალათნი! ალბათ სტკბებიან შენი სხეულის მოკვლით. ავიწყდებათ, რომ ეს სიხარული წუთიერია. შენი სული, საქართველოს სულის სიმტკიცის განხორციელება, ხომ მარადიულია... მას ვერ მოჰკლავენ.

და ის ერთ წუთსაც არ გაჩერდებოდა აქ...

ის დღეს თავს დასტრიალებს მებრძოლ საქართველოს, ამხნევებს მას, უხმობს ბრძოლისაკენ—გამარჯვებისაკენ. და არ მოისვენებს, ვიდრე არ იხილავს საქართველოს ბრწყინვალებას, მის მკვდრეთით აღდგომას.

ძრწოდენ ქვემძრომნი! ეს დროც შორს არ არის...

მანამ კი უცხო მხარის ცივი სამარე მიგიღებს და შეუნახავს შენს სპეტაკ ნეშტს თავისუფალ საქართველოს...

მშვიდობით, ძვირფასო ნოე!

ვ. ინწკირველი.

აღარ გვყივს ბელადი! ვინ იცის კიდევ რამდენი დრო დაგვჭირდება, რომ ეს ულმობელი ჭეშმარიტება შევიგნოთ და დავიჯეროთ. ჩვენი ნოე ასე უმოძრაოთ, გულზე ხელდაკრეფილი?... არა, ძვირფასო მასწავლებელო, ეს ჩვენ გულს არ ეკარება. შენი ასე მუხანათური სიკვდილით მტერმა ჩვენი წმიდა საქმის დასამარება მოინდომა, მაგრამ ჩვენ ვეტყვით მას: ის ხალხი, რომელიც ნოოების სკოლაში აღმოიზარდა, ასე ადვილათ როდი იღებს ხელს დაწყებუბული საქმის გაგრძელებაზე. ბრმა ტყვიამ მოგვტაცა შენი სხეული. მაგრამ შენი მაგალითით ბრძოლაში გაკაჟებული ახალგაზდობა შენი წმინდა ცხედარის წინაშე ფიცსა ვსდებთ, ფიცს გაუტეხელს, ლომისებური სიძლიერით გავამაგრებთ შენს მიერ გაჰედილ რიგებს. შენა ისე, მოღალატურათ მოწყვეტა შენი ერისა და საყვარელი პარტიისათვის ჩვენში ერთხელ კიდევ განამტკიცებს იმ რწმენას, რომ რომ მტრის დღეები დათვლილია და ჩვენი ვალია სანთელივით დავდნეთ ერის წმინდა საკურთხეველზე. მტერი რა მტერია, ოდეს ქართველ ერს შეუპოვარი ნოეები გაუზრდია, შენი სახელი ბრძოლისაკენ მოუწოდებს შენი სიყვარული ახალგაზდების რიგებს... მაგრამ უკანასკნელად გევედრებით, შეუდარებელო მასწავლებელო, ერთხელ კიდევ გვასწავლე, როგორ შეიძლება, რომ შენს ასე ტრაღიკულად დაკარგვას შეურიგდეთ?... რა უნდა ვუთხრათ იმ ერს, რომელსაც შენი სახელი, შარავანდედით მოსილი, ღვთაებრივ დიდებამდი აუყვანია? არა, ჩვენ თავის მართლებაც არ შეგიძლია და სწორეთ ამიტომ არ ვიცი, ვინ უფრო საჭიროებს ნუგეშს და გამხნევებას, ჩვენ თუ შენი ძვირფასი ოჯახი, რომელსაც ყოველგვარი სიხარული სამუდამოთ გამოეცალა? საფრანგეთში მყოფი სოც. დემოკრატიული ახალგაზდობა გულამოსკვნილი გემშვიდობება, ძვირფასო მასწავლებელო!

ის იარაღს არ დაჰყრის მანამ, სანამ შენს სათაყვანებელ ცხედარს შენს საყვარელ ერს არ ჩააბარებს.

აწი მშვიდობით, დაუვიწყარო ბელადო; იძინე წყნარად, იძინე ტკბილათ სანამ მადლიერი სამშობლოს თბილი მიწა მიგიბარებდეს... მშვიდობით...

ვლასა მგელაძე

საქართველოში მყოფ მებრძოლთა და რუსეთის ცივ საპყრობილეში გამომწყვდეულ ჩვენი ერის თავისუფლებისთვის წამებულთა სახელით მომაქვს უღრმესი მწუხარება ერის საგუშაგოზე მებრძოლის დაღუპვისა გამო. მე არ მოვსულვარ აქ სატირლად და საგოდებლათ! მე მოვედი აქ, უთხრა ჩვენ წინ დამუნჯებულ, გულზე ხელდაკრეფილ საქართველოს მინისტრს, ერისთვის გულგანგმირულ ნოე რამიშვილს, რომ მტერი მოსტყუვდა, როცა ფიქრობდა ამ ენერგიულ ადამიანის გულის გაგმირვით საქართველოს წახდენას.

როცა საქართველოს მტერი შემოესია, ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით, თბილისის გარშემო ერთად ვიდექით... მტრის მიერ დაღუპულ მამულიშვილებს დიდებითა და გლოვით მშობელ მიწას ვაბარებდით. მტერმა ამოსწყვიტა რჩეულნი მამულიშვილნი, მარა ქართველი ერის შვილები რიგში დგებოდენ, სამშობლოს დაცვაში ერთიმეორეს ეცილებოდენ... დღეს მტერმა იერიში აქ მოიტანა, საქართველოს მთავრობას უმტკიცესი და უძლიერესი მებრძოლი მოსტაცა! მაგრამ მტერი მიზანს ვერ მიაღწევს. აქ ცარიელი ადგილი არ დარჩება! მოკლულის ალაგს მეორე იჭერს—ბრძოლა გრძელდება!

ჩვენ აქ მტრის მიერ მუხანათურად მოკლულ მებრძოლს არ ვტირით, მის სიმამაცეზე, საქმეებზე არ ვლაპარაკობთ! ეს სხვა დროისათვის და სხვა ალაგას იქნება, აქ მხოლოდ მტერს ვეუბნებით: თქვენ ჩვენი სისხლი გწყურიათ? აჰა ეს სისხლი. თქვენ ჩვენი გული გინდათ? აი ჩვენი გული. თქვენ შეაჩერეთ ამ მამულიშვილის გულის, მისი მაჯის ცემა, ისე, როგორც მრავალი ჩვენი სასახელო მამულიშვილების, მარა მათი სულები ერთან არიან, მათი დიადი საქმენი ბრძოლას განაგრძობენ, სავალ გზას გვინათებენ... თქვენ მიერ მოკლულ ქართველ მინისტრის ალაგას ჩვენ ვდგებით! ასე იყო ძველათ. ასეა ახლაც, აქ ახალი არაფერია, ქართველის ჩვეულება გძელდება...

ქართველი ერის მთავრობავ, მისო სახელოვანო, ჭაღარა ერის ბელადო ნოე ჟორდანიავ! შენ ჩვენი ერის გამოღვძებას ამომავალ მზესავით ამოყევი! მზესავით ჩვენი ერის ცხოვრებას ათბობ და აცხოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ... ამ ახალ გზაზე ერის ჭირსა და ლხინს განიცდი, ქართველი ერის სულის ჭურჭელი გახდი, ჩვენი ერის შესანიშნავი თვისებები შენში განსახიერდა... არ შედრკე, დღეს ქართველი ერის გამოცდაა, ის მძიმე ტვირთი, ის ჯვარი, რომელიც განგებამ შენ გარგუნა. ქართველი ერის წამების ჯვარია, შენ ის უნდა აიტანო გოლგოთაზე, ერს ვითარცა მოსე ეგვიპტიდან გამოუძღვე, ქართველა ერის რთულსა და ეკლიან გზაზე ღირსეულათ ვლით... შენი პირადი ცხოვრება, უბედურება და წამით ბედნიერება წააგავს ქართველი ერის ცხოვრებას და ის კვლავ გაგვიღიმებს, დიდებით შეიმოსება...

მაშ მედგრათ წინ! მხარში ამომჯდარი ვაქკაცივით ყავარჯენი მტერმა ხელითან გამოგაცალა, მარა აჰა ქართველები, რომელნიც გარს შემოგკრებიან, ააარჩიე, გვერდში ამოიყენე, ბრძოლა დიადი, სასახელო განაგრძე, ჩვენი საყვარელი სასოება თფილისისაკენ გზა გვაჩვენე, შენი სიბრძნით სამშობლოში მიგვიყვანე... ეს არი ურყევი ანდერძი, ანდერძი წამებული მამულიშვილებისა...

ქართველების სახელით მე ერთს ვითხოვ, ქართველი ერის სახელით ერთ ბრძანებას ხმა მაღლა ვღაღადებ: რა პარტიისა დი მიმართულების ბრძანდებოდეთ, სხვადასხვა რწმენასა და იდეალს ისახავდეთ პირადი ღირსებით, თუ შეგნებულ-შეუგნებელი იყოთ, ცხოვრებაში ურთიერთ დამოკიდებულება კარგი თუ ცუდი გქონდეთ,—დღეს ერთად უნდა იდგეთ მტრის წინაშე... ყველა პოლიტიკური პირტია, ჯგუფი, პიროვნება ერთად დარაზმული გვერდში უნდა ედგეთ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას... ყოველი პირადული, პარტიული უნდა დავივიწყოთ, ავმაღლდეთ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობამდე, გავხდეთ ღირსეული სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწენი.

კავკასიის ერები დღეს ერთდებიან, ის რაც ვერ შესძლეს წარსულში მეფეებმა, ის შეძლო ცხოვრებამ! არარატ-მყინვარ-იალბუზის შვილები ხელი ხელ გადაჭდობილნი ერთად ბრძოლის ველზე დგანან. კავკასიის ერების ძმობა-ერთობის საძირკველი ისკვნება. დიადი ხანა კასპიისა და შავი ზღვის შუა მობინადრე ერების მყუდრო ცხოვრების დასაწყისში შევდივართ... ფრთხილათ და ფხიზლათ კავკასიის ერების პოლიტიკურო მოღვაწენო, ჯგუფებო და პარტიებო! პარტიებიდან სახელმწიფოსაკენ! აი ჩვენი დროის ლოზუნგი....

და შენ ქართველო დედავ, მტირალო და სახელოვანი მებრძოლის დამკარგავო მარო! ნუ გოდებ და მოსთქვამ! დღეს ქართველ ხალხს, ქართველ დედებს სატირლათ არ სცალიან...

ქართველებო! დიადი დრო მოახლოვებულია... შევკრათ რიგები...

კ. გვარჯალაძე

ძვირფასო ნოე! ფრიად მძიმე დავალება მაქვს დღეს დაკისრებული, ჩვენი პარტიის სახელით უნდა გითხრა უკანასკნელი, გამოსათხოვარი სიტყვა.

საქართველოს სოციალდემოკრატიას თავს დაატყდა დიდი უბედურება. ბოროტმა ხელმა ბოროტი მტრის წაქეზებით და დავალებით მას შენი თავი ხელიდან გამოაცალა.

ჩვენი პარტია შენში კარგავს მის უდიდეს ბურჯს და მესაიდუმლეს. განუსაზღვრელია მწუხარება შენი ამხანაგების აქ, მაგრამ კიდევ უფრო დიდია შენი მეგობრების და ამხანაგების ტანჯვა და ტკივილები იქ, საქართველოში.

ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენს პარტიას ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვინ მოსთვლის, თუ რამდენი მსხვერპლი გაუღია, მაგრამ მიუხედავათ ყოველ-გვარ მსხვერპლისა ის ბრძოლას განაგრძობს და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობაში ის სავსებით ენდობოდა შენს ორგანიზატორულ ნიჭს, შენს თავდადებას, შენს ენერგიას, შენს მუშაობის უნარს, ფოლადისებურ სიმაგრეს და მას შენი დიდი იმედი ქონდა. ვაი, რომ ეს იმედი მას არ დაუსრულდა და შენი ბედი სულ სხვანაირად დატრიალდა.

ჩვენი პარტიის ტანჯვა და ტკივილები საქართველოში კიდევ მით არის აუწერელი და აუტანელი, რომ მას დღეს არ აქვს საშუალება მასთან ახლო ყავდეს და ცხარე ცრემლებით დაიტიროს ის, ვინც 30 წლის განმავლობაში იყო მისი მესაიდუმლე და ვინც მას ასე თავგამოდებით ემსახურებოდა.

შენ უდიდესი როლი ითამაშე იმაში, რომ ჩვენი პარტია გაიზარდა, ორგანიზაციულად განმტკიცდა, გახდა მასიური, მას გაყვა ჩვენი ერის უმრავლესობა და მით შეიქნა იგი ეროვნულიც. შენ მშვენივრად შესძელი პრაქტიკულ მოღვაწეობაში სოციალისტური და ეროვნული ბრძოლა ერთმანეთისათვის შეგეგუებია და შეგეთანხმებია. შენ იყავი საუკეთესო სოციალისტი, მაგრამ ამავე დროს უსაზღვრო იყო შენი ნაზი სიყვარული შენი მშობელი ერის და ქვეყნისადმი.

დღეს ერის ბელადს, ნ. ჟორდანიის აღარა ყავს მისი მთავრობების მუდმივი და უცვლელი მინისტრი. ამიერიდან ნ. ჟორდანიას აღარა ყავს მისი მარჯვენა ხელი—მისი ნოე რამიშვილი. ქართველი ერი შენში კარგავს ჯერ ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე და დიდი მომავლის მქონე სახელმწიფო მოღვაწეს.

დიდი იყო შენი პოპულიარობა საქართველოში. ხშირად იქ ლეგენდებიც დადიოდა. ნოე რამიშვილი ჩამოსულია აქ, ხალხს ბრძოლისათვის ამზადებს და მალე მტრისაგან განვთავისუფლდებითო. შენ იყავი ჩვენი ერის იმედი. მტერს კი შენი ბრძოლა და არსებობა შიშის ზარს გვრიდა. ამიტომაც იყო, რომ შენსავით მას არავინ სძულდა და ეზარებოდა.

დღეს მტერი იცინის, ხითხითებს, გონია, შენი წაქცევით ჩვენც წავიქცევით. გახრწნილს, გათახსირებულს კი ავიწყდება, რომ ჩვენი ერის და პარტიის მომავალი არ არის დიმოკიდებული მხოლოდ ერთი პიროვნებისგან, რაც დიდი და ძლიერი არ უნდა იყოს ეს პიროვნება. ერის თუ პარტიის ბედი ყოველთვის მის ყოველ დღიურ კოლექტიურ შემოქმედებაში იჭედება.

თქმა არ უნდა, ჩვენი პარტიის დანაკლისი დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, მართალია ისიც, რომ შენი შემცვლელი ჩვენ რიგებში არავინ არის. რჩეულთა შორის შენ მუდამ რჩეული იყავი.

მაგრამ, ვიდრეკ რა მუხლებს შენი ცხედრის წინაშე, გაძლევთ სიტყვას, ვდებთ ფიცს, რომ ჩვენი პარტია საერთო ძალებით, კიდევ უფრო მწკრივი რიგებით, გააგრძელებს შენ მიერ ნაკეთებ საქმეს, გააფთრებით შეებრძოლება მტერს და ბრძოლას თავს არ გაანებებს მანამ, სანამ მას სასიკვდილო ლახვარს არ ჩასცემს.

შენ კი, ჩვენო ძვირფასო ნოე, მუდამ იქნები ჩვენთვის ბრძოლის და თავდადების სიმბოლო.

ს ა მ ძ ი მ რ ე ბ ი

უამრავ სამგლოვიარო დეპეშებს და წერილებს შორის აღვნიშნავთ შემდეგს:

პოლ დუმერი, საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე, აცხადებს თავის უწრფელეს თანაგრძნობას.

ფერნან ბუისონი, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, აცხადებს თავის უცხოველეს თანაგრძნობას.

გენერალი ლასონი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კარის უფროსი: უცხადებს თანაგრძნობას საელჩოს და «კეთილშობილ ქართველ ერს».

ჟიულ მიშელ, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კარის სამოქალაქო გენერალური მდივანი.

პიერ დე-ფუკიერ, რესპუბლიკის პრეზიდენტის პროტოკოლის უფროსი.

ლორან ეინაგ, ავიაციის მინისტრი.

ჟერმენ-მარტენ, ფინანსთა მინისტრი.

რენე სიკარ, საგარეო საქმეთა მინისტრისაგან.

ალ. მილიერან, რესპუბლიკის ყოფ. პრეზიდენტი, უცხადებს ქ-ნ რამიშვილს «პატივისცემით თავის ღრმა და მწუხარე თანაგრძნობას».

გენერალი ვეიგან, გენერალური შტაბის უფროსი: აცხადებს უღრმეს და გულითადს სამძიმარს.

პო, გენერალი, საფრანგეთის წითელი ჯვრის თავმჯდომარე.

ედ. ერიო, მთავრობის ყოფ. თავმჯდომარე, ლიონის მერი, დეპუტატი.

ფერნ. დავიდ, სენატორი.

პოლ-ბონკური, დეპუტატი.

პ. რენოდელი, დეპუტატი, ქ-ნ მ. რამიშვილს: «დიდათ ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი ჩემი მეგობრის ნ. რამიშვილის დაკრძალვას. კვლავ გიცხადებთ ჩემს უღრმეს მწუხარებას»...

ედ. სულიე, დეპუტატი.

რობ. ტუმირ, დეპუტატი.

ჟ. პერონე, დეპუტატი, ყოფ. მინისტრი.

დეზ. ფერი, დეპუტატი, ყოფ. მინისტრი.

მდ. ჟან კენე, პარიზის მთ. ვიკარი.

მონსენიორი შაპტალ, ეპისკოპოსი, პარიზის არქიეპისკოპოსის თანაშემწე, უცხადებს ქ-ნ რამიშვილს «ღრმა თანაგრძნობას და პატივისცემას».

ჟ. კავალიე, უმაღლეს განათლების განყოფილების უფროსი.

ლეონ გილე, საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი.

გოდეფროა, სოფელ ლევილის მერი—ქ-ნ რამიშვილს: «ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი და მთელი მუნიციპალური საბჭოს სახელით უღრმესი სამძიმარი. ჩვენ ცხოვლად განვიცადეთ თქვენი უბედურება, რადგან ღრმა პატივისცემა გვქონდა თქვენი განსვენებული მეუღლის. მიიღეთ, ქ-ნო, ჩემი უღრმესი პატივისცემა და აგრეთვე საბჭოს წრფელი თანაგრძნობა».

ალფ. შლაპოვსკი, პოლონეთის ელჩი საფრანგეთში

არციშევსკი, პოლონეთის ელჩი ლატვიაში.

გ. პოტოცკოვსკი, პოლონეთის საელჩოს მდივანი.

ვიკ. დესკიევსკი, პოლონეთის საელჩოს მდივანი.

ვლ. ნოიმან, პოლონეთის საელჩოს მრჩეველი.

ან. მიუნშტეინ, პოლონეთის საელჩოს მრჩეველი.

ფ. ფრანკოვსკი, პოლონეთის საელჩოს მრჩეველი.

ანტონ ვეკლაკოვიჩ, კომერციული მრჩეველი.

კინენეს-დე ლეონ, ისპანიის ელჩი.

სოუკუპი, ჩეხოსლოვაკიის სენატის თავმჯდომარე: ... «სულითა და გულით თქვენთან ვარ, თქვენთან ერთად დავსტირი ამ იშვიათის ხასიათის ადამიანის დაკარგვას, რომელსაც ღრმა პატივს ვსცემდი. როგორც ჩეხოსლოვაკიის სენატის თავმჯდომარე, გიგზავნით წრფელს სალამს და ღრმა თანაგრძნობას».

გრუნბერგერ, ავსტრიის ელჩი.

ბარონ ფრ. ვილანი, უნგრეთის ელჩი.

ერიკ კოლბან, ნორვეგიის ელჩი.

შუმანს, ლატვიის ელჩი.

პუსტა, ესტონიის ელჩი.

ჟან მარტენ, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე სწერს მთავრობის თავმჯდომარეს: დავკარგეთ საქართველოს თავისუფლების ერთი გმირთაგანი, მაგრამ მჯიდროთ შევერთდეთ და განვაგრძოთ ბრძოლა.

ალბ. მალმ, საქართ. დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე: «კომიტეტი ქედს იხრის მოწიწებით ამ დიდი პატრიოტის ნეშთის წინაშე, რომელიც დაიღუპა უცხოეთში ისე, რომ ვერ მოესწრო თავის ქვეყნის განთავისუფლებას, და ვამკობთ მის კუბოს ჩვენი თაყვანისცემის და ერთგულობის გვირგვინით».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედვარ მილო, ქენევის უნივ. პროფესორი, საქართ. დამხმარე საერთ. კომიტ. წევრი: უცხადებს მთავრობის თავმჯდომარეს მხურვალე სამძიმარს.

ქ. ვერნერი, ქენევის პროფეს., კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

ედუარდ შაპუიზა, «ჟურნალ დე ჟენევ»ის დირექტორი, ქენევის დეპუტატი, უცხადებს წროფელ თანაგრძნობას ქ-ნ რამიშვილს.

ჯოლინელ სტოკსი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი უმაღლესი კომისარი კავკასიაში.

ბ. იოშიზავა, იაპონიის ელჩი საფრანგეთში.

სტ. ოსუსკი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი საფრანგეთში.

ჯაო-ლუ, ჩინეთის ელჩი.

ერიკ კოლბან, ნორვეგიის ელჩი.

ჯას. ბორშ, დანიის საელჩოს პირველი მდივანი.

ჯ. ბრუზე, დანიის საელჩოს მდივანი.

რ. ნუმელინ, ფინლანდიის საელჩოს მრჩეველი.

ტომას ლებრეტონ, არგენტინის ელჩი.

ფილ. რუა, კანადის ელჩი.

გვატემალას ელჩი.

გერერო ბარონ, სალვადორის ელჩი.

დე ბოგერდ, ლიბერიის ელჩი.

პროკოპოვიჩი, უკრაინის ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე.

ივანის, ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე.

ინგლისის მუშათა პარტიისაგან, შვეიცის ს. დემ. პარტიისაგან, ბელგიის მუშათა პარ., ჩეხოსლოვაკიის ს. დემ. პარტ., რუსეთის ს. დემ. პარ., რუსეთის ს. რევ. პარ., უკრაინის ს. დემ. პარ., სომხეთის დაშნაკცუტუნის პარტ., აზერბეიჯანის სოც. პარტიისაგან.

ლეონ ფარო, გაზ. «ტი პარიზიენიდან».

მაქსიმ სლავინსკი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის ყოფილი ელჩი პრაღაში.

უკრაინელთა საზოგადოება საფრანგეთში, უკრაინის ყოფილ მხედართა კავშირისაგან, «ტრიზუბის» რედაქციისაგან, «ვოლნოე კაზაჩესტვოს» რედაქციისაგან, «დნის» რედაქციისაგან, «პოსლედნიე სლოვო»-ს რედაქციისაგან.

კასტელინ, ნიკარაგუას რესპუბლიკის რეზიდენტი.

ლ. ჰუბერ, სენატორი, ყოფ. მინისტრი.

ჯაფარ სეიდ ასმედ, ყოფილი თავმჯდომარე ყირიმის მთავრობის.

ლედნიცკი, პოლონეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე.

ს. შამილი, მთიელთა სახელით.

ჰ. ბამატი, მთიელთა ყოფ. მინისტრი.

ბალმონტი, რუსის პოეტი, ვეფხის ტყაოსანის მთარგმნელი: «კეთილშობილ გმირთა სიკვდილი ვერასოდეს მოკლავს უკვდავ საქართველოს».

მარკიზ დე ბაი, ცნობილი მოგზაური კავკასიაში.

ჰალილ ხასმამედოვი, ყოფილი თავმჯდ. ადერბეიჯანის მთავრობისა.

აბდონ-ბუასონ, ფრანს-ორიანის საზოგადოებისაგან.

ჟორჟ რისლერ, პარიზის სოციალურ მუზეუმის თავმჯდომარე.

ანრი დემონცონ, საფრანგეთის ინსტიტუტ. წევრი.

ჟორჟ სელ, პროფესორი და ჟურნალისტი.

ა. ლუკასოვი.

მრავალი სხვა პირი, როგორც უცხოელი ისე ქართველი (უცხოეთის ყოველ კუთხიდან და ხარბინიდან), რომელთა სიის დაბეჭდვას უადგილობისაგამო ვერ ვახერხებთ.

გვირგვინები

განსვენებულის კუბოს ამკობდა ოცდათზე მეტი გვირგვინი:

საქართველოს ეროვნულ მთავრობის (ჩვენს სასიქადულო წევრს და საამაყო თანამშრომელს), საქ. პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობის (მამაც მებრძოლს სამშობლოს თავისუფლებისათვის), საქ. ლეგაციის, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის, საქართველოს სოციალ დემოკრ. პარტიის, პარიზის ქართველთა საზოგადოების, უკრაინის მთავრობის, აზერბეიჯანის ეროვნულ ცენტრის, კავკასიის მთიელთა, პოლონეთის ქართველთა კომიტეტის, ეროვნულ დემოკრ. პარტიის, საფრანგეთეს ქართველ სტუდენტთა კავშირის, სტუდენტთა ეროვნულ გიერთიანების, რუსეთის ს. დ. პარტიის საზღვრგარეთელ დელეგაციის, საქ, სოც. დემ. პარიზის ორგანიზაციის, ბერლინის სოც. დემ, ორგანიზაციის, ოდენკურის ქართველების, ბერლინის ქართველების, თფ. მილიციის, საგანგებო რაზმის წევრების, ლევილის ქართველების, და სხ.

იტალიაში

იტალიის ყველა გაზეთებმა მოათავსეს ცნობა ნოე რამიშვილის ტრაღიკული სიკვდილის შესახებ. ვერაგული მკვლელობა დაწვრილებით იყო აღნიშნული. რომის გაზეთის «Messaggero»-ს ორშაბათის (8 დეკ.) გამოცემა «il Meridiono»-ში იყო წერილი ამ სათაურით: «საქართველოს მინისტრის მკვლელობა საფრანგეთში», გაზეთი აღნიშნავდა, რომ «რამიშვილი ჰხელმძღვანელობდა იმ ეროვნულ ბრძოლას, რომელიც მიმართული არის საოკუპაციო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და მიზნათ საქართველოს განთავისუფლება აქვს დასახული. ნოე რამიშვილი თავისი აქტივობისა გამო მუდამ იმყოფებოდა კომუნისტური ტეროორის საფრთხის ქვეშ».

ვარშავაში

ვარშავაში გადახდილ იქნა პანაშვიდი უთვალავი ხალხის თანადასწრებით, რომელიც წარმოადგენდა იშვიათ მანიფესტაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგლოვიარო კრება ბერლინში

კვირას, 14 დეკემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე საქართველოს ელჩის და ქართველი კოლონიის მოწვევით გაიმართა ვერაგულად მოკლულ საქართველოს მთავრობის წევრის ნოე რამიშვილის პატივსაცემლად სამგლოვიარო კრება.

კრებას მრავალი ხალხი დაესწრო:—კარგად მოზრდილი «Landwehr-კაზინო»ს ზალა სადგურ Zoo-სთან (ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია ქალაქ ბერლინის) გარდაცვალებულის პატივსაცემლად მოსულებით—უცხოელებითა და ქართველებით—სავსე იყო.

კედელს ამშვენებდა საქართველოს დროშა და ღერბი, რომლის ქვევით ცოცხალ ყვავილებით მორთულ გვირგვინში, რომელსაც შავი ფერის ნასკვები ამწუხრებდენ, ნოე რამიშვილის სურათი გამოიყურებოდა.

კრების პრეზიდიუმის მაგიდასთან ელჩის და კოლონიის გამგეობის წევრების გვერდით იჯდენ: ინტერნაციონალისა და გერმანიის სოც. დემოკრატ. პარტიის წარმომადგენელი არტურ კრისპინი და ბერლინ-ბნანდენბურგის სოც. დემ. ორგანიზაციის თავმჯდომარე ფრანც კიუნსტლერი.

კრება გახსნა საქართველოს ელჩმა და სთხოვა საზოგადოებას ვერაგულად მოკლულის პატივსაცემლად ფეხზე წამომდგარიყვენ.

ერერტის სახელობის ხოროს კვარტეტმა, რომელიც გერმანიის სოც. დემოკ. პარტიის დავალებით იყო მოსული, მშვენივრად შეასრულა შესაფერი სამგლოვიარო სიმღერა.

ამის შემდეგ პირველი სიტყვა ქართულ ენაზე წარმოსთქვა ელჩმა, რომელმაც დაახასიათა ნოე რამიშვილი, როგორც ადამიანი განსაკუთრებული ღირსების, ნიჭიერი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მუდამ იმედიანი, მუდამ ბრძოლის ცეცხლით სავსე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მედგარი, შეუდრეკელი მებრძოლი და მქადაგებელი. ტრაღიკულად გარდაცვალებულის სახელს დაუვიწყარად შეინახავს ქართველი ხალხიო.

ქართველ კოლონიის სახელით ილაპარაკა საზოგადოების თავმჯდომარემ მ. წულუკიძემ. სხვათა შორის მან სთქვა: ნოე რამიშვილი საქართველოს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოიჭრა, როგორც სახალხო მოძრაობის მესაჭე, მისი პრაკტიკოსი. ორგანიზატორი პირველ ხარისხის, აგიტატორი გატაცებული, მწერალი-მებრძოლი:—ეს თვისებები, რომელნიც ყოველ ნიჭიერ პოლიტიკოსს ახასიათებენ,—უნდა ახასიათებდენ—მას ახასიათებდენ განსაკუთრებით.

და როდესაც ისტორიამ ნოე რამიშვილი, ამ თვისებებით აღჭურვილი, გამოცდის ქვეშ დააყენა, მან ეს ისტორიული გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა. ამ ისტორიულ აქტთან—26 მაისის დიდ საქმესთან—ნოე რამიშვილი სამუდამოდ დაკავშირებულია, როგორც საზოგადო, პოლიტიკური,—სახელმწიფო მოღვაწე.

ამის შემდეგ ინტერნაციონალისა და გერმანიის სოც. დემოკ. პარტიის სახელით ილაპარაკა არტურ კრისპინმა. მან მადლობა უთხრა მიცვალებულს იმ დიდ მუშაობისათვის, რომელიც მან მის დაჩაგრულ, დამონებულ ერისა და მშრომელ ხალხის გასანთავისუფლებლად გასწია და განსაკუთრებული გრძნობით დასძინა: მოვა დრო, განთავისუფლდება საქართველო, გაიმარჯვებს სოციალიზმი და მკვლელობისა და ძალდატანების ადგილს ძმობა და სიყვარული დაიკავებენო; მაშინ დაფასდებიან განსაკუთრებით და მთლიანად ისეთი ადამიანები, როგორც ამხ. ნოე რამიშვილი იყო, რომელსაც უგუნურის, თუ ვერაგის ტყვიამ, ბრძოლით გატაცებულს, ქურდულად გული გაუხვრიტაო.

კვარტეტმა «ბრიუდერ ცურ ზონნე» («ძმებო მზისკენ») დიდი გატაცებით შეასრულა. განსაკუთრებული სულისკვეთება დამყარდა.

სიტყვა აზერბაიჯანის წარმომადგენელმა აიღო, «მარტო თქვენი არ არის ნოე რამიშვილი», სთქვა ბ-ნ ხილალ მუნშიმ, ის ჩვენიც არის, მთელი ამიერკავკასიის. მთელი აზერბაიჯანის ხალხი, მთელი ემიგრაცია განურჩევლად მიმართულებისა დასტირის მას, როგორც დიდ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს და წრფელ მეგობარს»ო.

უკრაინელების წარმომადგენელმა შეადარა ნოე რამიშვილის სიკვდილი პეტლიურას სიკვდილს და სთქვა: ჩვენს მტრებს ჩვენში არევდარევა და უბედურება უნდათ შემოიტანონო. მაგრამ ვერ მიაღწევენ მიზანს, ჩვენი,—თქვენი თავისუფლების განთიადი მოახლოებულიაო.

შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ტიტე მარგველაშვილმა, რომელმაც დაახასიათა ნოე რამიშვილი, როგორც დიდი პოლიტიკოსი, დიდი სახელმწიფო კაცი, რომლის მიზანი მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრება, მისი ბედნიერება იყოო.

ბ. ილია გოლდმანმა რამოდენიმე მოგონებით ერთხელ კიდევ გააცოცხლა უდროოდ დაკარგული მსმენელთა წინაშე.

თურქესტანის წარმომადგენელმა ბ. ახმედ იბრაჰიმმა წრფელი თანაგრძნობა და მწუხარება გამოსთქვა დიდი ქართველისა და თურქესტანის გულწრფელ მეგობრის დაკარგვის გამო.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს სოც. დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს სახელით ბ. ნ. იმნაიშვილმა, რომელიც შეეხო ნოე რამიშვილს, როგორც პარტიულ მოღვაწეს,—საქართველოს სოციალისტურ მოძრაობის ერთ საუკეთესო ბელადს, საქართველოს დამოუკიდებლობის მედგარ დამცველს და ბოლოს სთქვა: მეგობრებო, ნოე რამიშვილი რომ ეხლა ჩვენ შორის იყოს, ერთად ერთი ძახილი, რომლითაც ის თქვენ, უცხოელ მეგობრებს, მოგმართავდათ, იქნებოდა:—«გვიშველეთ, დაგვეხმარეთ ჩვენს წმინდა საქმეში, დაჩაგრულ საქართველოს განთავისუფლების, მის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში»ო.

ხორომ მშვენიერი «ტორდ ფოლესონ»ი შეასრულა,—სიმღერა რომელიც შემდეგი სიტყვებით თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება: «ეცემა მებრძოლი, მაგრამ დროშა მაინც აღმართულია».

უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ერიკ ბერნშტეინმა, რომელმაც საქართველოს, მის პოლიტიკურ ცხოვრების კარგათ მცოდნემ და საქართველოს პარლამენტის წევრმა დაახასიათა ნოე რამიშვილი არა თუ როგორც კარგი ქართველი, არამედ როგორც კარგი ინტერნაციონალისტი და გერმანელ ხალხის მეგობარი, რომელიც მეტად ახლო მონაწილეობას იღებდა გერმანელ კოლონისტების ბედის წარმართვაში საქართველოშიო. ყველა სიტყვები, გარდა ელჩისა, გერმანულად იყო თქმული, თუ წაკითხული. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა წერილები, ორი მხოლოდ მრავალთა შორის: ედუარდ ბერშტეინის და ახალგაზდათა ინტერნაციონალის თავმჯდომარის ოლენჰაუერის. «შეუძლებელი შეიქნა დავსწრებოდი თქვენ სამგლოვიარო კრებას, მიუხედავად იმისა რომ ასე ცხოველია ჩემ სულში მოგონება თქვენ სამაგალითო მებრძოლზე ნოე რამიშვილზე. ჩემ სიცოცხლის ბედნიერ მომენტად ვრაცხ მე იმ დროს, როდესაც მე ამ შესანიშნავ ადამიანს, ძირითად კეთილშობილს, გავეცანი. არას დროს დავივიწყებ მე მას. ამ გრძნობით გესალმებით თქვენ ამურის სალამით თქვენი ედუარდ ბერშტეინი»—სწერს 81 წლის მოხუცი. წერილმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

კრებას გარდა ზემოთ მოხსენებულთა დაესწრენ: —სომხებიდან—დავიდიანი და აბელიანი, რუსებიდან —დანი და იუდინი. ამის შემდეგ კრება დაიხურა და ელჩმა დამსწრეთ, განსაკუთრებით სტუმრებს, მადლობა გადაუხადა. ნოე რამიშვილის ასეთ ტრაღიკულმე სიკვდილმა დიდი აღშფოთება და მწუხარება გამოიწვია ბერლნის ქართველებაში მიუხედავათ მიმართულებისა. რომ ეს ასეა. ამას. სხვათა შორის, ამოწმებს ის გულიდან ამონახეთქი წერილი. რომელიც კოლონიის გამგეობამ ბ. რ. მკურნალისაგან მიიღო.

«საზიზღარ, ბინძურ მკვლელმა მოჰპარა ქართველ ერს დიდებული მამულიშვილი», სწერს, სხვათა შორის, პატივცემული ავტორი.

ბევრ სხვადასხვა საკითხებში არ ვიყავით ნოე რამიშვილის თანახმა, მაგრამ ყოველი მისი მოწინააღმდეგისათვის ერთი რამ ეჭვს გარეშე იყო, რომ ნოე რამიშვილი იყო დაუღალავი მემრძოლი ერის თავისუფლებისათვის, პირახდილი მტერი დღევანდელი ჩვენი ჯალათებისა, დიდებული პატრიოტი, ენერგიით სავსე ოპტიმისტი ჩვენი მომავალი განთიადისა!!! აგრეთვე ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი ქართველი პატრიოტი გლოვობს დღეს ნოეს უდროოდ დაკარგვას»-ო.

შ.—ანი.

ბერლინი 14 დეკ. 1930.

უღვთოთ დალუპული მებრძოლი

მოხდა დაუჯერებელი ამბავი:

ბინძურმა, მოსყიდულმა ტყვიამ მოჰკლა ჩვენი ქვეყნის ერდგული, მისთვის თავდადებული, მისთვის თავგანწირული, მისი მოამაგე, მისი მოჭირნახულე, მისი ნოე რამიშვილი.

დაიღუპა მებრძოლი მტკიცე ნების, ურყევი რწმენის, შეუპოვარი, დაუცხრომელი, მუდამ მოსაქმე, მუდამ შემტევი. უკან არ დამხევი...

დაიღუპა მებრძოლი, რომელსაც არ ჰქონდა პირადი «მე», პირადი ცხოვრება; რომელიც სულდგმულებდა მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო საქმის სამსახურით, პირად ურთიერთობაში ის მარტო, განმარტოებული, ეული იყო. ის მხოლოდ საზოგადო საქმით ეკავშირებოდა, უახლოვდებოდა თუ შორდებოდა ხაცნობ-მეგობრებს...

დაწნულ-ნაქსოვი ერთავად მებრძოლ ნერვებისაგან—ის მუდამ იქ იყო, სადაც ბრძოლა იყო, სადაც ბრძოლა შეიძლებოდა.

დღეს ის აღარაა, დღეს ის გულგანგმირულია და სამუდამოთ დადუმებული...

დღეს ქარ-ნიავი სამშობლოს გავერანებულ, გაპარტახებულ მთა-ველებს მოედება და ზუზუნ-სისინით ქვეყანას ამცნობს რომ

—პარიზში, იტალიის მოედანზე, თვითმართველობის შენობის კედლის ძირას გულგანგმირული გდია ერთი მისი საუკეთესო შვილთაგანი.

ფურცლებ დაყრილი ხეები ტოტებს ძირს დახრიან, მწუხრის მანდილი არე-მარეს დაეხურება, ქვეყანა გლოვის ძაძებში გაეხვევა.

იქ, შორს, მივარდნილ სოფელში, გაცივებულ კერასთან, მდუღარე ცრემლებით, გულამოსკვნილი მწარე მოთქმაა. ეს დედაა უბედური რომ გაიძახის:

— შვილო, შვილოო...

ქუდი მოიხადეთ, ნუგეში ეცით საბრალო დედას.

ჰეი, ბიჭო, ნოე! რა შობა გაუთენდა ჩვენი ქვეყნის მტრებს! ვინ იფიქრებდა რომ შენი მღელვარე ცხოვრება ასე გათავდებოდა, ასე მოიჭრებოდა...

უსაზღვრო ტკივილით გაიგებს ქართველი ერი ამ შემზარავ ამბავს. მარა ის არ მიეცემა სასოწარკვეთილებას. ის ჩვეულია მსხვერპლის გაღებას. მტერმა მრავალი მოგვტაცა. ქვეყანა სავსეა წამებულთა საფლავებით. ის კიდევ უფრო გამტკიცებული სულით დაირაზმება ახალი ბრძოლისათვის, ახალი გამარჯვებისაკენ. და ამ ბრძოლაში, ამ გამარჯვებაში ის დასწნავს იმ წმიდა გვირგვინს, რომელსაც დადგამს მისი ღირსეული შვილის ღირსეულ საფლავს..

მოისვენე ძამია.

მაქ შენ ბევრი გყავს ამხანაგები და როცა ისინი საყვედურით მოგმართავენ თუ რატომ ასე აჩქარდი: ნუ, ნუ ეტყვი რომ შენ მოგკლეს, რომ შენი მკვლელი იყო ქართველი და ისიც ემიგრანტი.

იყავი მშვიდათ და წყნარათ...

ცივია შენი სამარე, მარა თფილია ჩვენი გული, შენი ხსოვნით აღსავსე და სამუდამოთ დაუვიწყარი...

ეკ. ერატაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი 1930 წლისთვის

I. მეთაურები:

სუფთა მიზანს სუფთა საშუალება. საჭირბოროტო საკითხი 49. ვა ბანკ 50. სეპარატიზმი—აი მტერი 51. ევროპა და საბჭოები 52. ინტერნაციონალი და ეროვნებათა საკითხი 54. სტალინიზმი 55. მონური შრომა საბჭოთა კავშირში 56. კავკასიის კონფედერაცია 57. რა უყვეს საქართველოს. ნეზავისიმი კავკაზ 58. ხმა სამშობლოდან 59. ნოე რამიშვილი 60.

II. წერილები.

ანტონ ყ.: Post tenebra lux 50.
გიბეჩია ი.: გამარჯვებისაკენ 53.
გვარჯალაძე გ.: ინგლისი და დომინიონები 56-57.
გუშაგი: ერთად თუ ცალცალკე 53.
ვარდანი ბ.: ძველი და ახალი 54. ნაფიქრი ხმამაღლა 59.
ზენ: საბჭოთა ქვეყანა 49.
ზურაბიშვილი ი.: ყმაწვილ თაობას 53.
ზ—ლი ი.: ბოლშევიკები და ეროვნული საკითხი 59.
ინგილო: საახალწლო 49. დისციპლინისა და ერთობის დღე 53. სტამბოლის სავანის ავკარგი 55.
კაქი: ამ. კავკ. საბჭოური ფედერაცია 49. მასარიკი 52. ფიქრები 26 მაისის შესახებ 53.
კ. გ.: ინდოეთი დამოუკიდებ. თხოულობს 51.
კ. კ.: დ. შარაშიძის წიგნის ბიბლიოგრაფია 52.
—ლი—გ.: საქართველო ციფრებით 49-59.
მ. მ. სახელმწიფოთა კონფედ. და ფედ. სახელმწიფო 51-52, 56.
მგელაძე ვლ.: ქართველი ერის სული 54.
ნოზაძე ვ.: ევროპა და კავკასია 51-52. კავკასიის გეოპოლიტიკისათვის 54-8.
პრ. ინ. 26 მაისი 53.
ყორდანია ნ.: 26 მაისი 53.
ყურული გ.: დიდი 26 მაისის ფესვები 53.
რამიშვილი ნ.: განთავისუფლების სიმბოლო 53.
ურატაძე გრ.: ულვთოთ დაღუპული მებრძოლი 60.
ფირცხალავა ს.: ისტორიული ლანდები 53. სამშობლოს განთავისუფლებისთვის 56. ჩვენი მოწინააღმდეგენი 57. რუსეთის ს. დემ. პ. და ჩვენი დამოუკიდებლობა 58. ჩვენი დამოუკიდებლობა და სოც. ინტერნაციონალი 59.
შარაშიძე დ.: პ. ისტრატი საბჭოების წინააღმდეგ 50.
შ. დ.: კავკასიის ფრონტი 57.
შავიშვილი ხ.: საბერძნეთის განთავისუფლების 100 წლის თავი 52. ჰუმან. ილიუზიები 58.

III. საქართველოს საკითხის გარშემო.

იტალიელების სამძიმარი 50. ჩვენი გულახდილობა (პოლ. გაზ.) 50. მიურატის მოხსენება 50. მიურატის მოხსენება ჟენევაში 54. ქენეს მოხსენება 54. საქართ. დამხმარე ინტერნ. კომიტეტი 58. საქართველოს საკითხი 59.

IV. კორესპონდენციები.

საზღვაო კონფერენცია 50. საქართველოდან 54. ხარბინიდან 54. გერმანიიდან 58.

V. ქართველები უცხოეთში.

ქართველები საფრანგეთში 49, 51, 52, 59.—26 მაისი პარიზში და ბერლინში 54. ქართული ბიბლიოთეკა პარიზში 55. აჯანყების მოგონება 57

VI. საქართველოს ამბები.

გაზეთებიდან 49, 51, 52, 53, 55-59. საყურადღებო ინტერვიუ საქართველოს შესახებ 58. საქართველოში 59.

VII. რუსეთის ამბები. უკრაინელთა შორის. 49, 51, 53-59.

VIII. უცხოეთის მიმოხილვა. 49.

IX. რას სწერენ ბოლშევიკებზე: 50, 51, 56, 57, 59.

X. ნეკროლოგები.

გრ. ხოფერია 54. ა. ესაკია 54. ქაქუცას (ჩოლოყაშვილის) ცხოვრება. ეროვნული დაკრძალვა. ქ. ყოლოყაშვილის გარდაცვალების გამო 56. ანა დრაიხორსტისა 59. ნ. რამიშვილის დაკრძალვა. სიტყვები. სამძიმრები 60.

XI. სხვადასხვა.

ერთი ჭორის გამო 49. ბესედოვსკის ნაამბობი 49. პრესა 51. შევარდენი 51. ტუბერკ. საზოგადოების ანგარიში 52. აჯანყება ადერბეიჯანში და სომხეთში 52. მ. წულუკიძის წერილი 53. მოწოდება ქართველ ქალებს 53. კ. ჩხეიძე 54. საჭირბოროტო საკითხი 54. დნი და ეროვნული საკითხი 54. როგორ განვითარდა აჯანყება სომხეთში 55. წერილი რედ. მიმართ 55. ჩანგიზ ყაენი 56. ინგილოს წერილი რედაქციის მიმართ 56. კავკასიის აჯანყება 57. ტრისტან და იზოლდა 57. საბიბლიოგრაფიო შენიშვნა 57. შარლატნები 58.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით 20 ფრანკი.
ნახევარი წლით 10 ფრანკი.
ერთი ნომერი 2 ფრანკი.

«დამ. საქ.» კანტორა
სთხოვს ხელის მომწერლებს გამოგზავნონ
მათზე დარჩენილი ხვედრი ფული.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა
გამოგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.